ხელშეკრულება № 23

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გურჯაანი 15.05,2014წ

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:
ერთის მხრივ, გურჯაანის ქალაქ გურჯაანის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ ციური მანიჟასვილის სახით (შემდგომში,,შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს" სონი" (შემდგომში „მიმწოდებელს") შორის.

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **მეტალოპლატმასის კარის დამზადება და მონტაჟი** ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, ,,სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 26-ე მუხლის I პუნქტის „დ" ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. მისაწოდებელი საქონლის ჯამური ღირებულება **შეადგნს 363** ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.
2.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

3.1. საქონლის (მომსახურების მიწოდების ვადაა 25 მაისამდე 2014წ(ხელშეკრულების მოქ. ვადა 2014წ.0106)
3.2. საქონლის მიღება გაფორმდება სასაქონლო ზედნადებით შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
3.3. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
მაო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
3.6. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
4.2. მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს (წერილობით) შემსყიდველი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
-მიწოდებული საქონლის ხარისხი პასუხობდეს ხელშეკრულების პირობებს და აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.
- წუნის აღმოჩენის შემთხვევაში საკუთარი ხარჯით აღმოფხვრას იგი.
4.3. შემსყიდველი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიღებისას საქმის კურსში ჩააყენოს (წერილობით) მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება.
- რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს წერილობითი ფორმით.
4.4. შემსყიდველს უფლება აქვს:
- განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
- თუ მიმწოდებელი წუნის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ ასრულებს თავის ვალდებულებას მიმწოდებლის ხარჯზე განახორციელოს შესაბამისი სამუშაოები.
4.5. მიმწოდებელს უფლება აქვს მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

4.6. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება მოვალეობანი.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულებების შეუსრულებლობის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.

5.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.4. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

5. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

6.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა მოთხოვნით. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება წერილობით ერთი თვით ადრე მაინც.

6.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დამრღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

6. დავების გადაწყვეტის წესი

7.1. ამ ხელშეკრულების დროს წარმოშობილი დავები და უთანხმოებანი გადაიჭრება ურთიერთმოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. დასკვნითი დებულება

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან.

8.2. ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ პირობით, თუ ის შესრულებულია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ. ამ ხელშეკრულების დანართები მის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ.

8.3. ეს ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარი იდენტურია და აქვს თანაბარი ძალა. ორივე მხარეს აქვს ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი.

მ ხ ა რ ე თ ა რ ე კ ვ ი ზ ი ტ ე ბ ი:

მიმწოდებელი	შემსყიდველი
"შ პ ს" "სონი"	სსიპ - ქ. გურჯაანის N1საჯარო სკოლა
მისამართი: ქ.გურჯაანი სასაჯიშვილის№45	
ტელეფონი:	
საიდენტიფიკაციო კოდი: 437058318	
საბანკო რეკვიზიტები:" "სს ლიბერთი ბანკი'	
საბანკო კოდი: LBRTGE22	
ანგარიშსწორების ანგარიში: GE13LB0113133082848000	
	მისამართი: ქ. გურჯაან,ნონეშვილის N18
	ტელეფონი: 599944710
	საიდენტიფიკაციო კოდი: №227752241
	საბანკო რეკვიზიტები: სს,,ლიბერთი ბანკის გურჯაანის ფილიალი
	საბანკო კოდი: LBRTGE22
	ანგარიშსწორების №GE02LBO121111340537000
ხელმოწერა	ხელმოწერა გ.ა